თავისუფლებასა და თანასწორობას შორის კონფლიქტი და მისი სამართლებრივი გზებით გადაჭრის შესაძლებლობა

ივერი ბალახაშვილი

მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერებები

საერთაშორისო ურთიერთობები, მაგისტრატურის საფეხური

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

კონსტანტინე გაბაშვილი

მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი 2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ივერი ბალახაშვილი 20.06.2018

აბსტრაქტი

მიზანი

კვლევის მიზანია გამოარკვიოს თავისუფლებისა და თანასწორობის თანაარსებობის შესაძლებლობები, როგორც პოლიტიკურ თეორიებსა და იდეოლოგიებში, აგრეთვე, სამართლებრივ სფეროში. ხშირად მიიჩნევა ეს ორი ცნება როგორც სინონიმები, მაგრამ რეალურად ისინი ერთმანეთის საპირისპირო ცნებებია. მიუხედავად არაერთი კანონის არსებობისა, ამ სფეროს რეგულირებისათვის, ბოლომდე გასაგები არაა, მაინც სად ავლებს კანონმდებლობა გამიჯვნის ხაზს, თავისუფლებასა და თანასწორობას შორის.

მეთოდოლოგია

ნაშრომში განხილულია ერთმანეთთან დაპირისპირებული თეორიები, როგორც მემარცხენე ასევე მემარჯვენე თეორიები, ეს კონტრასტი კი გვეხმარება საკვლევი კითხვებზე პასუხების გაცემაში. კვლევაში გამოყენებულია ამერიკის კონსტიტუციის და უზენაესი სასამაღლოს დამოკიდებულება თავისუფლებისა და თანასწორობის გამიჯვნისადმი, აგრეთვე, საქართველოს კონსტიტუცია და უზენაესი სასამართლსო გადაწყვეტილება ბრიტანეტის მემარცხენე-ცენტრისტული მთავრობის ქეისი.

შედეგები და შეჯამება

თეორიების და სხვა სამეცნიერო ლიტერატურის კონსტრასტული განხილვითა და აგრეთვე ამერიკის, ბრიტანეთის და საქართველოს მაგალითებით კარგად ჩანს თავისუფლებისა და თანასწორობის შესაძლებლობა. მარტივი წარმოსაჩენია, თუ როდის შთანთქავს ერთი მეორეს ან პირიქით: ჩანს - სად და როგორ უნდა გაიმიჯნოს ისინი ისე, რომ არ დაზარალდეს დემოკრატიის ამ ორი ძირითადი ბურჯიდან არცერთი. მიუხედავად მათი მუდმივი დაპირისპირებისა, ისინი მაინც საჭიროებენ მეორის არსებობას - თუნდაც მცირე დოზით.

თემატური საძიებო სიტყვები: თავისუფლება, თანასწორობა, თანაარსებობა.

მადლობა

აღნიშნული ნაშრომის შექმნა, წარმოუდგენელი იქნებოდა, იმ ადამიანების მხარდაჭერის და ძალისხმევის გარეშე, ვინც კვლევის პროცესის მიმდინარეობისას არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო რჩევა მომცა და დამეხმარა.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო, ჩემი კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბ-ნ კონსტანტინე გაბაშვილს, მან თავისი მოსაზრებებით, არაჩვეულერივი რჩევებითა და წინადადებებით დიდი დახმარება გამიწია.

აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო სამართლებრივი სფეროდან რჩევებისათვის ბ-ნ ლუკა თურქაძესა და ქ-ნ ლიკა კაპანაძეს, ხოლო არაქართულ ლიტერატურასთან დაკავშირებული რჩევებისთის დიდი მადლობა ბ-ნ ლევან ჩუთლაშვილსა და ბ-ნ თორნიკე ბალახაშვილს.